სტუმრად პოეტ ტარიელ ხარხელაურთან

2024 წლის 14 იანვარს, საქართველოს უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაციის (USMA.GE) თავმჯდომარე ბესიკ ობოლაძე, ასოციაციის საბჭოს წევრები - ქეთევან ტომარაძე და მაყვალა ბერიანიძე, „კულტურული უსაფრთხოების აქტუალური საკითხების" კვლევის ფარგლებში, თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანხევში სახელოვან პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს ტარიელ ხარხელაურს ეწვივნენ. ვიზიტის მიზანი იყო თანამედროვეობის გამორჩეული ქართველი პოეტისთვის ახალი წლის მილოცვა და ნაყოფიერი შემოქმედებითი საქმიანობისთვის ასოციაციის სიგელისა და „უსმა/usma"-ს სპეციალური პრიზის გადაცემა. შეხვედრამ და კულტურისა და მწერლობის მდგომარეობის შესახებ ინტელექტუალურმა საუბრებმა საინტერესო, ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაიარა. ტარიელ ხარხელაურთან სტუმრობით, ასოციაციის საქმიანობასა და ჩინებული ლირიკოსის ბიოგრაფიაში, კიდევ ერთი დასამახსოვრებელი ფურცელი ჩაიწერა.

ასოციაციას განზრახული აქვს მომავალშიც შეხვდეს ჩვენს სახელოვან მწერლებსა და კულტურის მოღვაწეებს, მოისმინოს მათი შეხედულებები საქართველოში კულტურის უსაფრთხოების მდგომარეობისა და ამ სფეროში ვითარების გაუმჯობესების გზებზე, მხარდაჭერა და მადლობა გამოუცხადოს თითოეულს ქართული სიტყვის გადარჩენისა და ქართული კულტურის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, ასოციაციის წევრებთან ერთად, შეიმუშაოს საქართველოს კულტურული უსაფრთხოების პროგრამა.

ლექსი, ტარიელ ხარხელაური - სთქვი, მამულო! რა გაწუხებს